საექსპერტო შეფასება

შესრულებულია არქიტექტურული პროექტის “ტექნუკური რეგლამენტის “შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების” დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

საფუძველი: „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება N255.

ობიექტის მისამართი: ქალაქი თბილისი, ვარკეთილი 3, მიკრო/რაიონი IV , №185-ე სკოლის წინ არსებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.19.39.005.076)

ობიექტის ფუნქცური დანიშნულება: საცურაო აუზის შენობა

საპროექტო ორგანიზაცია/პროექტის ავტორ(ებ)ი: მ. სირაძე

წარმოდგენილი მასალა: „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილება.

1. შენიშვნები

შენიშვნა№	განმარტება

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41დადგენილებასთან ტექნიკურრეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებისთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა,მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

1. ტერმინებიდაგანმარტებები

ტერმინი №	განმარტება

1. წესები - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები.
2.შშმ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

გამოსაკვლევი ნაწილები:

„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება N255 მთავრობის 2019 წლის 31 მაისის ყოფილი N57 დადგენილების 21-ე მუხლის შესაბამისად წინამდებარე საექსპერტო შეფასება მოიცავს არქიტექტურული პროექტის შემდეგ ნაწილებს:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების

შეფასებას;

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

ვ) მისაწვდომობის შეფასებას;

ზ) გარეკედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

ლ) წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

მ) ლიფტების შეფასებას;

ნ) ღია ავტოსადგომის შეფასებას.

გამოკვლევა

2019 წლის 25 ნოემბერს შეთანხმდა საცურაო აუზის პროექტი ბრძანება № 4762883 რომლის მიხედვითაც უნდა აშენებულიყო 3(სამ) სართულიანი შენობა სადაც განთავსებული იყო 2(ორი) აუზი. დამკვეთის მოთხოვნიდან გამომდინარე, მოხდა შენობის მოცულობის შემცირება და შემცირდა როგორც საერთო ფართი ასევე შეიცვალა ფასადები და შენობაში განთავსდება ერთი საცურაო აუზი, რომელიც განთავსდება I სართულზე ნაცვლად შეთანხმებული პროექტისა სადაც აუზები განთავსებული იყო მეორე სართულზე.

კონსტრუქციულად შენობა დარჩა უცვლელი, როგორც იყო შეთანხმებულ პროექტში განსაზღვრული-მონოლითური რკინაბეტონის კარკასია ბლოკის შევსებით. გადახურვები მოწყობილია ლითონის ფერმებით. შეიცვალა სახურავის ტიპი, სახურავი გადაიხურება ბრტყელი გადახურვით, გადახურვის ტიპის მასალად გამოყენებული იქნება და მოეწყობა რბილი სახურავი. საპროექო შენობას გააჩნია წყალსადინარი ღარები და წყალარინი მილები.

•პროექტი დამუშავებულია თანამედროვე გეგმარებითი პრონციპების და შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების ნორმების გამოყენებით.

- **ძირითადი ნაწილი**

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს დაკავებულობების კლასიფიცირებას მე-3 თავის მიხედვით და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რომლებიც შეესაბამება 302-ე ქვეთავს.

ქვემოთ ჩამოთვლილია დაკავებულობები, რომლებიც გამოყენებულია პროექტში:

1.თავშეყრის ჯგუფი თვ -3 (სპორტული დარბაზები(მაყურებელთა დასაჯდომების გარეშე) საცურაო აუზი ±0.00 ნიშნულზე))
2.სასაწყობე ჯგუფის ქვეჯგუფი სწ-2 (ღია ავტოსადგომი) ±0.00 ნიშნულზე))
3 .სასაწყობე ჯგუფის ქვეჯგუფი სწ-2 (საწყობი) ±0.00 ნიშნულზე))
4 .სასაწყობე ჯგუფის ქვეჯგუფი სწ-2 (გასახდელები/გარდერობი(ორი სივრცე)) ±0.00 ნიშნულზე))
5.თავშეყრის ჯგუფი თვ -3 (ლობი) ±0.00 ნიშნულზე))
6.სქ (საქმიანი ჯგუფის დაკავებულობები)ოფისი) +6.00 ნიშნულზე))
7 .სასაწყობე ჯგუფის ქვეჯგუფი სწ-2 (საწყობი) +6.00 ნიშნულზე))

ყოველი ზემოხსენებული სივრცის დაკავებულობა სწორად არის განსაზღვრული და შეესაბამება „წესების“ 303.4; 304 და 311.3 ქვეთავის მოთხოვნას.

დაკავებულობის დატვირთვის ნაწილშიც საპროექტო დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია აკმაყოფილებს „წესების“ 1004.1.2 ცხრილის მოთხოვნებს კერძოდ:

1.თავშეყრის ჯგუფი თვ -3 (სპორტული დარბაზები(მაყურებელთა დასაჯდომების გარეშე) საცურაო აუზი ±0.00 ნიშნულზე)) შემდგომ მათი ფართობები (კედლებს შორის) გაყოფილია 4,7 -ზე; დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 45
2.სასაწყობე ჯგუფის ქვეჯგუფი სწ-2 (ღია ავტოსადგომი) ±0.00 ნიშნულზე)) შემდგომ მათი ფართობები გაყოფილია 18,6 -ზე; დაკავებულობის საერთო ჯამში დატვირთვა შეადგენს 1+2=3
3 .სასაწყობე ჯგუფის ქვეჯგუფი სწ-2 (საწყობი) ±0.00 ნიშნულზე))შემდგომ მათი ფართობები (კედლებს შორის) გაყოფილია 46,5 -ზე; დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 1
4 .სასაწყობე ჯგუფის ქვეჯგუფი სწ-2 (გასახდელები/გარდერობი(ორი სივრცე)) ±0.00 ნიშნულზე)) დაკავებულობის ფაქტორი დაანგარიშებულია კარადების/გასახდელების რაოდენობით. დაკავებულობის დატვირთვა საერთო ჯამში შეადგენს 51
5.თავშეყრის ჯგუფი თვ -3 (ლობი) ±0.00 ნიშნულზე)) შემდგომ მათი ფართობი გაყოფილია 1,4 -ზე; დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 32
6.სქ (საქმიანი ჯგუფის დაკავებულობები)ოფისი) +6.00 ნიშნულზე)) შემდგომ მათი ფართობები (კედლებს შორის) გაყოფილია 9,3 -ზე; დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 11
7 .სასაწყობე ჯგუფის ქვეჯგუფი სწ-2 (საწყობი) +6.00 ნიშნულზე)) შემდგომ მათი ფართობები (კედლებს შორის) გაყოფილია 46,5 -ზე; დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 1

ყოველი ზემოხსენებული შენობაში არსებული სივრცის თითოეული დაკავებულობისთვის, სწორად არის განსაზღვრული და შეესაბამება დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორს 1004 ქვეთავის 1004,1.2 ცხრილის მიხედვით. დაკავებულობები შერჩეულია წესების შესაბამისად და მისი დატვირთვებიც გამოთვლილია წესების მოთხოვნის შესაბამისად.

დაკავებულობის დატვირთვა დამრგვალებულია მეათედის სიზუსტით.

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

პროექტის ავტორების მიერ საპროექტო შენობებისათვის მიკუთვნებული კონსტრუქციის ტიპი წარმოადგენს III-A ტიპს. შერჩეულია შენობების დაკავებულობის, სიმაღლის,სართულიანობისა და ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემეტებისათვის კონსტრუქციის ტიპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში).

გ)სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

საპროექტო ობიექტის სიმაღლე და ფართობი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციის ტიპებთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503ცხრილის მოთხოვნებს. შენობების სიმაღლე მიწის დონიდან განსაზღვრულია სწორად და კონსტრუქციული სიმაღლე არის 11.8 მ. ვინაიდან შენობის ყველაზე მაღალი დაკავებული იატაკი არ მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 23 მ-ზე მაღლა, „წესების“ განმარტების მიხედვით შენობები არ არის მაღლივი.
შენობის თითოეული სივრცე დაყოფილია დაკავებულობების მიხედვით. თითოეულ სართულზე დაკავებულობების ფართობის ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებების ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არ ცდება 503 ცხრილში სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვრებს.

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასავლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.
წესების მე-10 თავის 1004 ქვეთავის, 1004.1.2 ცხრილის საფუძველზე განსაზღვრული დაკავებულობის დატვირთვების გამოთვლის და თითოეული სართულზე მათი დაჯამების შემდეგ დადგინდა, რომ შენობის ნებისმიერ სართულზე დაკავებულობის დატვირთვა მერყეობს 11-სა და 95-ს შორის,(მაქსიმალური დაკავებულობა სართულზე 95), ჯამური დაკავებულობა 120.
წესების შესაბამისად 1021 ქვეთავის მიხედვით შენობას უნდა ემსაუხურება ორი გასასვლელი.

გასასვლელები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

თითოეული სართულიდან გასასვლელი საშუალება									
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	მოთხოვნილი გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა	გათვალისწინებული გასასვლელების /გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა და ტიპი	გასასვლელი საშუალებების სიგანე(მეტრი)					
				გზა-კიბეები		დერაფანი,		გასასვლელის გზა-კარი	
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
მიწისპირა სართული ±0.00 ნიშნულზე	თავშეყრის ჯგუფი თვ -3 საცურაო აუზი *დ.დ. 45*	1	1 გასასვლელის გზა-კარები	–	–	–	–	0,82	0,82-ზე მეტი
მიწისპირა სართული	სასაწყობე ჯგუფის ქვეჯგუფი სწ-2	1	1 გასასვლელის	–	–	–	–		

±0.00 ნიშნულზე	(საწყობი) *დ.დ. 1*		გზა-კარები					0,82	0,82-ზე მეტი
მიწისპირა სართული ±0.00 ნიშნულზე	სასაწყობე ჯგუფის ქვეჯგუფი სწ-2 (გარდერობები/გას ახდელები)ორი სივრცე)) *სულ: დ.დ. 25+26=51*	1	1 გასასვლელის გზა-კარები	–	–	–	–	0,82	0,82-ზე მეტი
+0,00 ნიშნულზე	თავშეყრის ჯგუფი თვ -3 (ლობი) *დ.დ. 32*	1	1 გასასვლელის გზა-კარები	–	–	–	–	0,82	0,82-ზე მეტი
+6,00 ნიშნულზე	სქ (საქმიანი ჯგუფის დაკავებულობები) *დ.დ. 11*	1	1 გასასვლელის გზა-კარები	–	–	–	–	0,82	1,10
+6,00 ნიშნულზე	სასაწყობე ჯგუფის ქვეჯგუფი სწ-2 (გარდერობები/გას ახდელები)ორი სივრცე)) *დ.დ. 1*	1	1 გასასვლელის გზა-კარები	–	–	–	–	0,82	0,82-ზე მეტი

- გასასვლელი გრძელდება 1027 ქვეთავის მიხედვით მოწყობილი შენობიდან, რომელიც ითვალისწინებს დაუბრკოლებლად უზრუნველყოფას შენობიდან გამოსასვლელით საზოგადოებრივ სივრცეში.

ე)გზა-კიბეებისა და სხვაგასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

- როგორც ზემოთ აღინიშნა გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია 1009 ქვეთავის შესაბამისად.
  გზა-კიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1009.4 ქვეთავის და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.1. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (5.1 მმ). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე (1.1მ) მეტი სიგანის გზა- კიბეები(1.30 მ) შენობის ყველა სართულზე.

გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია 1018 ქვეთავის შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას.დერეფნის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1018.2 ქვეთავის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.2. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (3.8 მმ). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე(1.20მ) მეტი სიგანის დერეფანი.(1.50მ)
გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია 1008 ქვეთავის შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას.გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1008.1.1 ქვეთავის და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.2. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (3.8 მმ). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე (0.82მ.) მეტი სიგანის ((1,10მ (მინიმალური მაჩვენებელი პროექტით))გზა-კარები .
შენობის სართულებზე არსებული თითოეული დაკვაბეულობისთვის და იმ სივრცეებისთვის, რომლებშიც ეს დაკავებულობები ფუნქციონირებენ გასასვლელბის რაოდენობა
(1021 ქვეთავის მიხედვით) და გამტარუნარიანობა განსაზღვრულია 1008 ქვეთავის, დაკავებულობის დატვირთვის (1004 ქვეთავი) და 1005.3.2. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორის (3,8 მმ) მიხედვით,

- ყველა კარის (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს 82სმ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 1008.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

ყველა კარები აკმაყოფილებს განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნას.

ვ)მისაწვდომობის შეფასება:

მე-11-ე თავის მიხდვით გეგმარების კონცეფციაზე არის მითითებული მისაწვდომობის სვლაგეზი და მე-11 თავის განსაზღვრული მისაწვდომი შესასვლელი რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების პირების (შშმ) მისაწვდომობას შენობის ყველა სართულზე.
- შენობის ყველა შესასვლელი არის მისაწვდომი, კერძოდ: შენობის იატაკის ნიშნული და საზოგადოებრივი სივრცის ნიშნულის სხვაობა შეადგენს 0 სმ.-ს და არ საჭიროებს პანდუსის მოწყობას, შესაბამისად საპროექტო შენობის სივრცის შესავლელი მისაწვდომია.
- შენობის ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია არის მისაწვდომი; - სწორად არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლა-გეზი და აკმაყოფილებს 1104 ქვეთავის მოთხოვნებს.
გზა კიბის სიგანე არის 1.30 . მე-17 თავის მიხედვით მოწყობილი ლიფტი.

- შენობის ყველა შესასვლელი არის მისაწვდომი, კერძოდ: შენობის იატაკის ნიშნული შეესაბამება 0,00 ნიშნულს და საზოგადოებრივი სივრცის ნიშნული უტოლდება 0 ნიშნულს, შენობაში მისაწვდომობის მიზნით არ საჭიროებს პანდუსის მოწყობას.
- **საპროექტო შენობის სივრცის შესავლელი მისაწვდომია;**
- შენობის ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია არის მისაწვდომი; სწორად არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლა-გეზი და აკმაყოფილებს 1104 ქვეთავის მოთხოვნებს;

ზ)გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ გარე კედლის ღიობები ს მაქსიმალური ფართობი , ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობის დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია 705 ქვეთავის მიხედვით და შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს. მოცემული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით.

განსხვავებული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გათვალისწინებით საპროექტო შენობების კედლებს, 602 ცხრილის მიხედვით, სხვადასხვა ცეცხლმედეგობის ხარისხი ეკუთვნის. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

გარე კედელი	**ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი** (მეტრი)	**ცეცხლმედეგობის ხარისხი**(საათი)		**კედლის ღიობების ფართობი** (კედლის %)					
		მოთხოვნილი	**გათვალისწინებული**	**დასაშვები**			**გათვალისწინებული**		
				დაცული	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**	**დაცული**	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**
„1“-„6“ ღერძებს შორის მანძილი	9 მ. ზე მეტი	0	2	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	შეუზღუდავია			აკმაყოფილებს
„6“-„1“ ღერძებს შორის მანძილი	4.5 მ და მეტი და 6.0 მ-ზე ნაკლები	1	2	75%	25%	25%			აკმაყოფილებს
„ა“-„ე“ ღერძს შორის მანძილი	0 და მეტი და 1.0-ზე ნაკლები	1	2	დაუშვებელია	დაუშვებელია	დაუშვებელია			0%
„ე“-„ა“ ღერძს შორის მანძილი	0 და მეტი და 1.0-ზე ნაკლები	1	2	დაუშვებელია	დაუშვებელია	დაუშვებელია			0%

თ)სახურავის ანაწყობების შეფასება:

- სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილების განსაზღვრულია 601 ცხრილის მიხედვით. სახურავის ანალიზის შემდეგ დადგინდა რომ სახურავის მზიდი და არამზიდი ელემენტები აკმაყოფილებს კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე მოთხოვნილ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხს.

  კონსტრუქციის ტიპიდან (III-A) გამომდინარე 601 ცხრილის თანახმად მას შესაძლებელი არის იყოს 1 საათიანი;

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

შენობის თითოეული ნაწილი ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული 508 ქვეთავის შესაბამისად. სხვადასხვა დაკავებულობებისთვის მოთხოვნილი ცეცხლმედეგი გამმიჯნავები სწორად არის გამოყენებული სართულის გეგმებზე 508.4ცხრილის შესაბამისად.

არსებული სწ-2; **სქ და თვ-3 ჯგუფები** გამიჯვნას არ საჭიროებს, ცეცხლსმედეგი კედლებით 508,4 ცხრილს მიხედვით.

გზა-კიბე აკმაყოფილებს 1009.3 ქვეთავის მე-7-ე პუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად გზა-კიბეები, რომლებიც ემსახურება შენობის გარეთ მდებარე საშუალებებს, და გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება, რომ შენობა წარმოადგნეს 2(ორ) სართულიან შენობას, სადაც გასასვლელი საშუალებების ყველა ნაწილი ძირითადად გახსნილია გარე ღია სივრცისკენ, არ საჭიროებს შემოზღუდვას.

შენობიდან გამოსასვლელის კომპონენტები აკმაყოფილებს 1027.3 ქვეთავის მოთხოვნას, რაც გულისხმობს შენობიდან გამოსასვლელის კომპონენტების საკმარის გახსნილ სივრცეებს, რომელებიც უზრუნველყოფენ კვამლისა და მომწამვლელი აირების დაგროვების შესაძლებლობის შემცირებას.

გათვალისწინებული არის ასევე 1027.5 ქვეთავის მოთხოვნა, რომელიც გულისხმობს შენობიდან გამოსასვლელი საზოგადოებრივ გზასთან პირდაპირ და დაუბრკოლებელ მისადგომობის უზრუნველყოფას.

კ)ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას:

პრექტში კოდექსის მიხედვით სწორად არის განსაზღვრული ცეცხლისგან დამცავი აქტიური სისტემები. კერძოდ:

- **სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები (თვ-3,სწ-2,სქ)**
- **კვამლის საკონტროლო სისტემები (ლიფტის შახტებში გათვალისწინებული დაწნევის სისტემის სახით);**
- **ხელის ცეცხლმაქრები . დაკავებულობებში(თვ-3,სწ-2, სქ)**
- **საავარიო განგაშის სისტემები (თვ-3,სწ-2, სქ)**
-

პროექტანტის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში, გათვალისწინებული არის სახანძრო ჰიდრანტი, რომლის კონკრეტული ადგილ-მდებარეობა გენ-გეგმაზე არის მითითებული. შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელზე სახანძრო ჰიდრანტი დამონტაჟდება სავალი გზის გასწვრივ, მისი კიდიდან არაუმეტეს 2,5 მ მანძილზე, მაგრამ შენობის კედლიდან არანაკლებ 5 მ დაცილებით. სახან-ძრო ჰიდრანტები ქსელზე ისე იქნება განთავსებული, რომ მისი საშუალებით შესაძლებელი იქნება ხანძრის ჩაქრობა შენობის ნებისმიერ სათავსში ;

პროექტის მიხედვით შენობა შეესაბამება 403.3 და 903.3.1.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

ლ)წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ტიპების მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს (ცხრილი 1602.1) ტუალეტები განთავსებულია ყველა სართულზე და შესაბამისად აკმაყოფილებს ტუალეტამდე სავალი მანძილის მოთხოვნებს.

დასკვნა

ქალაქი თბილისი, ვარკეთილი 3, მიკრო/რაიონი IV , №185-ე სკოლის წინ არსებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.19.39.005.076) დაპროექტებული საცურაო აუზის შენობის შეთანხმებული პროექტის ცვლილების პროექტი შესაბამისობაშია "ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

გაფრთხილება:

სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და მასთან დაკავშირებული საინჟინრო კომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა - ნაგებობისუსაფრთხოების წესები"-ს მოთხოვნების დაცვით!

ექსპერტი: მ. შელეკიძე 19 აგვისტო 2021 წ.

გამოყენებული მასალები:

მ.სირაძის მიერ შესრულებული არქიტექტურული პროექტი.

გამოყენებული (კანონმდებლობა, რეგლამენტები, წესები, სტანდარტები.....)

1. „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილება N255.

2. „ტექნიკურირეგლამენტის„შენობა-ნაგებობისუსაფრთხოებისწესების" დამტკიცებისთაობაზე"საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

პერსონალური ინფრომაცია

მაკა შელეკიძე

თბილისი, თემქა IV მ/რ, 5 კორპ, 9 ბ. (ZIP კოდი 0197), საქართველო

+995322648997 +599593577416

m.shelekidze@gmail.com

https://www.facebook.com/Maka Shelekidze

ოჯახური მდგომარეობა დაოჯახებული | დაბადების თარიღი 02/07/1979 | მოქალაქეობა ქართველი | დაბადების ადგილი ქ.თბილისი

სამუშაო გამოცდილება

იანვარი 2008 – დღემდე

დამფუძნებელი

შ. პ. ს. "იტალლივინგი"

მოვალეობები:

არქიტექტურა- პროექტირება-დიზაინი-აზომვითი სამუშაოები-საპროექტო

დოკუმენტაციის შეთანხმება არქიტექტურის სამსახურთან. გრაფიკული პროგრამების სასწავლო

კურსები: Archi CAD; Auto CAD; 3Ds MAX; Photoshop

დამოუკიდებელი ექსპერტ/არქიტექტორი

აპრილი 2016 – დღემდე

არქიტექტორი/ შესრულებული არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე " საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან საექსპერტო შეფასების ექსპერტი.

ს.ს.ი.პ. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

მოვალეობები:

შესრულებული არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე " საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან საექსპერტო შეფასების ექსპერტი.

აპრილი 2016 – ივლისი 2018

შემოსული კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი პასუხის მომზადება; საგანმანათლებლო ანდა სამეცნიერო ან მათი დამხმარე შენობა-ნაგებობებისათვის საპროექტო ტერიტორიის ანდა შენობისმოძიება, შერჩევა, შესწავლა; საპროექტო-სამიებო სამუშაოების განხორციელება; საპროექტო დოკუმენტაციის
შექმნა სტადიების მიხედვით; სათანადო საპროექტო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარება; საპროექტო სატენდერო
\საკონკურსო დოკუმენტაციის მომზადება; სამშენებლო-სარეაბილიტაციო ობიექტების შერჩევა-შესწავლა;
სამშენებლო სამუშაოებზე საავტორო ზედამხედველობის მონიტორინგი; დამსაქმებლის მითითების
შემთხვევაში, მის კომპეტენციას მიკუთვნებულ პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით, სარეკომენდაციო ხასიათის წერილობითი კონსულტაციის გაცემა შესაბამისი დასაბუთებით;
დამოუკიდებელი ექსპერტ/არქიტექტორი

აგვისტო 2017 – ივლისი 2018	საპროექტო შ. პ. ს. "არჩიგრამი" მოვალეობები: არქიტექტორი
ივნისი 2014 – ივლისი 2015	საპროექტო შ. პ. ს. "რენესანს პროჯექტი" მოვალეობები: არქიტექტორი
თებერვალი 2014 – ივნისი 2016	სასაწვლო/ტრენინგ ცენტრი შ. პ. ს. "ქართული გენი" მოვალეობები: გრაფიკული პროგრამების მასწავლებელი Archi CAD; Auto CAD
თებერვალი 2014 – ივნისი 2014	სასაწვლო/ტრენინგ ცენტრი შ. პ. ს. "NB" მოვალეობები: გრაფიკული პროგრამების მასწავლებელი Archi CAD; Auto CAD
იანვარი 2010 – მაისი 2014	სასაწვლო/ტრენინგ ცენტრი შ. პ. ს. "სპარ" მოვალეობები: გრაფიკული პროგრამების მასწავლებელი Archi CAD; Auto CAD
აგვისტო 2005 – ოქტომბერი 2008	საპროექტო შ. პ. ს. "გრაფიტი" მოვალეობები: არქიტექტორი
ივლისი 2004 – ივლისი 2005	საპროექტო შ. პ. ს. " ხიდი" მოვალეობები: არქიტექტორი
თებერვალი 2002 – იანვარი 2003	საპროექტო შ. პ. ს. " საქალაქმშენპროექტი" მოვალეობები: სამედიცინო დაწესებულების პროექტირება-დიზაინი - არქიტექტორის თანაშემწე

განათლება და გამოცდილება

2017 - 2002

მაგისტრთან გათანაბრებული დიპლომი

ქ.თბილისის, სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი -არქიტექტურის ფაკულტეტი, ქ.თბილისი (საქართველო)

2017 –2017

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი -„შენობა-ნაგებობის ინსტიტუტი-საქართველო“ სერთიფიკატი

პერსონალური უნარები

მშობლიური ენა ქართული

სხვა ენები

	UNDERSTANDING		SPEAKING		WRITING
	Listening	Reading	Spoken interaction	Spoken production	
ინგლისური	B1	B1	B1	B1	B1
რუსული	B2	B1	B2	B2	B1

სამუშაოსთან დაკავშირებული ცოდნა

- არქიტექტორი
- შესრულებული არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან საექსპერტო შეფასების ექსპერტი.

კომპიუტერული უნარები

- ArchiCAD (ძალიან კარგი),AutoCAD (ძალიან კარგი),Photoshop (ძალიან კარგი)
- Illustrator (კარგი),3D MAX (საშუალო), MS Office (MS Word, Excel) (ძალიან კარგი), Microsoft Office PowerPoint (ძალიან კარგი),Corel (კარგი),

დამატებითი ინფორმაცია

საქმინობის ძირითადი მიმართულებები

- საზოგოდაებრივი და საცხოვრებელი ობიექტების პროექტირება.
- მუშა საინჟინრო-ტექნიკურ და არქიტექტურულ ნახაზების პროფესიონალურად, დეტალებში და კვანძებში მოზადება
- შესრულებული არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან საექსპერტო შეფასების მომზადება.

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

STU № 009041

This is to certify that Mr./Mrs. *Maka Shelekidze* in *the year 2002* completed a full academic course of the *Georgian Technical University* majoring in *Architecture*

By resolution of the State Examination Board, dated *July 15, 2002* *Mrs. Maka Shelekidze* is conferred the present DIPLOMA and the qualification of *Architect*

Rector ....

Seal

Chairman of the State Examination Board ....

Dean ....

City *Tbilisi* *September 30, 2002*

Registration № *06509* Secretary ....

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2001 წელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

სტუ № 009041

მიეცა *მაკა [illegible] ასული შელეხიძეს* მასზედ, რომ მან *2002* წელს დაამთავრა *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის* სრული კურსი, სპეციალობით *არქიტექტურა*

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *2002* წლის *15 ივლისის* გადაწყვეტილებით *მაკა [illegible] ასული შელეხიძეს* მიენიჭა *არქიტექტორის* კვალიფიკაცია

რექტორი ....

ბ.ა.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ....

დეკანი ....

ქალაქი *თბილისი* *30 სექტემბერი, 2002 წ.*

სარეგისტრაციო № *06509* მდივანი ....

სერტიფიკატი

№ 2017 - 114

გადაეცემა

მაკა შელეკიძეს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი